

დადგენილება #ე.პ. 0464-20  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

თბილისი

12 ნოემბერი 2020

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების იურისტი -  
ნინელი ბოჭორიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 12 ნოემბერი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

შპს „პიმ ჯორჯია“

მდებარე: იურიდიული მისამართი -- ქ.თელავი, შ.რუსთაველის III შეს. #10

საიდენტიფიკაციო კოდი #431436216

ფაქტობრივი ადგილსამყოფელი:

.....

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

მიმდინარე წლის 02 ნოემბერს გადამოწმდა ქ. თელავში, არსებული აბონენტის #9711850770 აღრიცხვის კვანძი. აღმოჩნდა, რომ აბონენტი მრიცხველის გვერდის ავლით მოიხმარდა ელ.ენერგიას, კერძოდ, ტრანსფორმატორის თავისუფალ ავტომატზე დაერთებული იყო სადენი, რომელშიც შემოწმებისას გადიოდა 22.2 ამპერი დენი. ადგილი ჰქონდა ელ.ენერგიის დატაცებას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას#007028 ოქმს ხელი მოაწერა შპს „პიმ ჯორჯია“-ს წარმომადგენელმა, დირექტორმა-გიორგი ტურაშვილმა (პ/ნ 20001003194), რომელმაც აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და განმარტა, რომ ელ.მეურნეობაზე პასუხისმგებელ პირს

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

შეეშალა და ობიექტის სადენი დააერთა არასწორად. საქმეში წარმოდგენილია 02.11.2020წ შედგენილი აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #1537420, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ აბონენტი ელ.ენერგიას მოიხმარდა მრიცხველის გვერდის ავლით. აბონენტის მიერ ელ.ენერგიის დატაცებას ასევე ადასტურებს საქმეზე წარმოდგენილი ვიდეომასალა. შპს „პიმ ჯორჯია“-ს მიერ ელექტროენერგიის დატაცება წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 06 ნოემბერს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. შპს „პიმ ჯორჯია“-ს წარმომადგენელს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე. თუმცა სხდომაზე შპს „პიმ ჯორჯია“-ს წარმომადგენელი არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდარღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; ვიდეომასალა; შეტყობინება.), რომელთა მეშვეობითაც დგინდება შპს „პიმ ჯორჯია“-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელექტროენერგიის დატაცება. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

.....

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 240-ე; 228<sup>2</sup>-ე მუხლებით; 266-ე მუხლის მე-4 ნაწილით; სემეკის 12.08.10 #14 და 18.09.08 #20 დადგენილებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 17.09.10 RU #2010009 წესით, 26.06.19 or #2019034 ბრძანებით და

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

დავადგინე:

6. შპს „პიმ ჯორჯია“ (ს/კ 431436216) ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას 15000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯაროდ გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ.#19).

9. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე:  
ნინელი ბოჭორიშვილი

